

## განმარტებითი ბარათი

### „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია განსაზღვრული კატეგორიის სააღსრულებო წარმოებებზე აღსრულების პროცესის დასაწყებად აუცილებელი გადასახდელის შემცირების, ანუ პროცესის დაწყების პირობების შემსუბუქების აუცილებლობა, რათა უფრო მარტივად იყოს შესაძლებელი გადაწყვეტილებების აღსასრულებლად მიქცევა, რაც ხელს შეუწყობს პროცესის ეფექტიანობის გაზრდას და გადაწყვეტილებათა აღსრულების შემდგომ სრულყოფას.

გარდა ამისა, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქციით სააღსრულებო ფურცელში მისათითებელ ერთ-ერთ სავალდებულო რეკვიზიტად გათვალისწინებულია კრედიტორისა და მოვალის დასახელებები და რეკვიზიტები, მათ შორის, პირადი ნომრები ან გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრები. „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ 1993 წლის მინსკის კონვენციის 53-ე მუხლით განსაზღვრულია ხელშემკვრელი სახელმწიფოების ტერიტორიაზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის საჭირო დოკუმენტების ამომწურავი ჩამონათვალი, რომელშიც არ არის გათვალისწინებული კრედიტორისა და მოვალის სარეგისტრაციო მონაცემები. კრედიტორისა და მოვალის სარეგისტრაციო მონაცემების წარმოდგენა არ არის გათვალისწინებული აგრეთვე იმ სახელმწიფოთა მიერ გამოტანილი განაჩენის აღსრულებისათვის (ჯარიმის ნაწილში), რომლებიც წარმოადგენენ „სისხლის სამართლებრივ განაჩენთა საერთაშორისო აღიარების შესახებ“ ჰააგის 1970 წლის კონვენციის წევრ სახელმწიფოებს. გარდა ამისა, ზოგიერთი უცხო სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემაში არ არსებობს ცნება მოქალაქის „პირადი ნომერი“. აღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი კანონპროექტით ცვლილება შედის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში და მითითება კეთდება იმის თაობაზე, რომ სააღსრულებო ფურცელში კრედიტორისა და მოვალის დასახელებების და რეკვიზიტების, მათ შორის, პირადი ნომრების ან გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრების მითითების სავალდებულო წესი არ გამოიყენება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებასთან დაკავშირებით.

**ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:**

კანონპროექტის შემუშავება მიზნად ისახავს უზრუნველყოფილი მოთხოვნის კრედიტორის მიერ, მოთხოვნის ოდენობის შესაბამისად, აღსრულების საფასურის წინასწარ გადასახდელი ნაწილის შემცირებას ზოგადი 2%-იდან მინიმალურ 1%-ამდე. ასევე, ასეთი კრედიტორებისათვის ნივთის ნატურით გადაცემის შემთხვევაში გადასახდელი საფასურის ოდენობის შემცირებას დაკმაყოფილებული მოთხოვნის პროპორციულად, რაც კრედიტორს შეუმსუბუქებს აღსრულების პროცესთან დაკავშირებულ ხარჯებს და ამავე დროს ეს დადებითად აისახება მოვალის მდგომარეობაზეც, რადგან საბოლოოდ ეს ხარჯები (აღსრულების საფასური) ეკისრება მოვალეს.

გარდა აღნიშნულისა, განზრახულია იძულებითი აუქციონის ჩატარების ელექტრონული ფორმის შემოღება, რომლის ჩატარების წესებიც, აუქციონის ჩატარების ამჟამად მოქმედ წესებთან ერთად, დადგინდება იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

კანონპროექტის მიზანია აგრეთვე „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის ჰარმონიზაცია საქართველოს მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან.

**ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:**

კანონპროექტის ძირითადი არსი შემდგომში მდგომარეობს:

თუ იძულებითი აღსრულების დაწყება სურს უზრუნველყოფილი მოთხოვნის კრედიტორს (იპოთეკარი ან მოვირავენე), ის აღსრულების საფასურის (აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურების საფასური) წინასწარ გადასახდელი ნაწილის სახით გადაიხდის 50 ათასი ლარის და მეტი ოდენობის მოთხოვნის არსებობისას – მოთხოვნის 1,5%-ს, 100 ათასი ლარის და მეტი ოდენობის მოთხოვნის არსებობისას – მოთხოვნის 1%-ს, ნაცვლად ყველა შემთხვევისათვის დღეს არსებული 2%-ისა, ამასთან, წინასწარ კრედიტორის მიერ გადასახდელი ამ საფასურის (რომელიც მას უბრუნდება ამოღებული მოთხოვნის პროპორციულად) ოდენობა, ფიზიკური პირისათვის არ შეიძლება აღემატებოდეს 5 ათას ლარს. უზრუნველყოფილი კრედიტორის მიერ, მისთვის აღსრულების პროცესში ნივთის ნატურით გადაცემისას, გადასახდელი საფასურის ოდენობა განისაზღვრება შემდეგი ოდენობებით: თუ აღსასრულებელი უზრუნველყოფილი მოთხოვნა ტოლია ან აღემატება: 50 ათას ლარს, აღსრულებული მოთხოვნის – 4%-ით, 100 ათას ლარს, აღსრულებული მოთხოვნის – 3%-ით, 500 ათას ლარს, აღსრულებული მოთხოვნის – 2%-ით – ნაცვლად ყველა შემთხვევისათვის დღეს არსებული 5%-ისა.

გარდა ამისა, კანონპროექტი ითვალისწინებს იძულებითი აუქციონის ფორმების, ჩატარების წესების და პროცედურების დადგენას იუსტიციის მინისტრის ნორმატიული აქტით, რაც ნაცვლად დღეს არსებული ფორმისა, გულისხმობს ახალი ფორმის იძულებითი ელექტრონული (ე.წ. ონლაინ აუქციონის) შემოღებას, რომლის ჩატარების წესები და პროცედურები ერთიანი ნორმატიული აქტით დადგინდება.

კანონპროექტი აგრეთვე ითვალისწინებს ცვლილების შეტანას კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტში. პროექტით შემოთავაზებული რედაქციის თანახმად, სააღსრულებო ფურცელში არ მიეთითება კრედიტორისა და მოვალის

პირადი ნომრები ან გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრები საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებისას.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯებით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებით ნაწილის ცვლილებებს.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტი არ იწვევს ფინანსურ ვალდებულებებს.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):**

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და გარკვეულწილად გამომდინარეობს მათი მოთხოვნებიდან.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს.

**დ.გ) კანონპროექტის ავტორი**

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის წევრი ლაშა თორდია

**დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი**

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრი ლაშა თორდია.